

**თბილისის
XI
საერთაშორისო
ტურნირი
ძიულოში**


ს. უ რ ა თ ე შ ე ე: ტურნირის
სახეიშო გახსნაზე; ც. კავჭავაძისა
და პ. ლოლაშვილის შეხვედრის
მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.



ი ა ბ ი თ, შ ა ე რ კ ა ვ ა ძ ე ლ ი, პ ა ლ ი ლ ი უ რ ა ს ა, ზ ა ზ ა ლ
ე რ კ ა ვ ა ძ ე ლ ი
გ ი ვ ლ ი რ თ ე ა ჯ

პროლეტარებო ყველა ჰვეანისა, შეერთდით!



№ 27
(6588)



1980 წ.
თებერვალი,
ზაგათი.
ფასი 3 კპა.

საპარტველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და
სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете
Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1984 წლის
13 აპრილიდან

**ს ს ა რ კ ი
ბ რ კ ო ლ ე ბ ი
ტ ა ტ ა მ ე ჯ**

კიდეც ორი ჩვენი ფალავანი და 95 კგ წონაში არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის გათამაშებაც შეიძლება. იაპონელი კავახარა, სსრ კავშირის 1978 წლის ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი ვერნიკევი, ევროპის ოთხგზის ჩემპიონი, გერმანელი ლორენცი, ევროპის სამგზის ჩემპიონი, ფრანგი პარიზი, მსოფლიო პირველობის პრიზიორი პოლანდიელი ნიუმანი. საკმარისი იყო ამ სიას თემურ ხუბულური და რამაზ ხარშილაძეც დამატებოდა და...

თემური ნაკრების მწვრთნელებმა, როგორც ჩანს, ტაქტიკური მოსაზრებით გაათავისუფლეს ტურნირიდან, რამაზი კი ტრავმის გამო ვერ გამოვიდა ტაბაშე. და მაინც, პირველი ადგილისთვის ბრძოლა ერთობ საინტერესო გამოდგა. სახელოვან თანაგუნდელოა ტერითი ჰამლეტ ლოლაშვილია და ორმა ახალგაზრდა ფალავანმა — ტარიელ მუთოშვილია და მალხაზ ბერუაშვილია იკისრეს.

დილის შეხვედრებში ლოლაშვილმა ერთიმეორის მიყოლებით დაამარცხა კუდალაევი (სსრკ), ფრიდრიხი (გფრ) და გურინი. ბერუაშვილია პირველ წრეში დამარცხებულად მოუგო სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის II პრიზიორს ვასილიონოს და მეორე წრეში, მართალია, ქულა არ დაუთმია მუთოშვილისათვის, მაგრამ გამოცდილებამ თავისი ქნა. მესამე წრეში წილისყრამ ტ. მუთოშვილი ტურნირის მომავალ გამარჯვებულთან დიტმარ ლორენციან მოახვედრა. ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა დაამარცხა ახალგაზრდა მუთოშვილია და ვერნიკევი. შემდეგ წრეში ლორენცი გავიდა.

ფინალის მისადგომებთან 3-3 გამარჯვებით მივიდნენ კავახარა და ვერნიკევი. მეორე ტაბაშე მძიმენროსნები არკვევდნენ ურთიერთობას, იმ ფაქტმა, რომ პრეტენდენტებს შორის არ იყვნენ არც ენდო, არც იამასიტო, ნოვიკოვი, ტურინი.

(დასასრული მე-2 გვ)

**რ ვ ე ნ ს
რესპუბლიკაში —
პირველად**

საპარტველოს პროფსაბჭოს პრეზიდენტმა მიიღო დადგინებული საწარმოო ტანჯარების კომპლექსში პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტული საზოგადოებათა ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტული კლუბების 1980 წლის რესპუბლიკური შეჯიბრების შესახებ.

ასეთი სახის შეჯიბრება რესპუბლიკაში პირველად იწყება. მისი მიზანია საწარმოო ტანჯარების მიხედვით დაინერგოს და პრობლემა წარმოიჭინოს დასახლებულ რაიონებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში.

შეჯიბრება პირად-გუნდური და 3 ეტაპად მოეწყობა. I ეტაპი ტარდება მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან 15 სექტემბრამდე თბილისში, II ეტაპი — თბილისში, III ეტაპი — სპორტული კლუბების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბრიგადებში, უბნებში, განყოფილებებში, საამქროებში, ფიზკულტურის კოლექტივებში, სპორტული კლუბებში. ამიერი პერიოდში მოეწყობა რაიონული, საქალაქო და საოლქო შეჯიბრებები.

II ეტაპი მოიცავს ნებაყოფლობით სპორტული საზოგადოებთა რესპუბლიკური პირადობის, როგორც 15 სექტემბრიდან 1 თებერვლამდე გაიმართება. III ეტაპი — რესპუბლიკური დინამური შეჯიბრება ჩატარდება თბილისში 16-19 თებერვლამდე.

პირად და გუნდურ პირადობებში გამარჯვებულები — საოლქო, რაიონული, კოლმეურნეობის, გუნდები, ფიზკულტურული მუშაკები და ხილდობლებიან სპორტსაზოგადოებებისა და დარგობრივი პროფკავშირული რესპუბლიკური კომიტეტის სამახსოვრო საჩუქრებითა და სიგელებით.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, ნებაყოფლობით საზოგადოებათა რესპუბლიკურმა, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა, სპორტული კლუბების გამგებობებმა, ფიზკულტურის კოლექტივებმა დროულად უნდა გაატარონ საქართველოს მთლიანი შეჯიბრების ყველა ეტაპის მაღალ დონეზე ჩასატარებლად საწარმოო ტანჯარების პრობლემისა და ფართოდ დაინერგვის მიზნით.

დ. კინწურაშვილი,

საპარტველოს პროფსაბჭოს საწარმოო ტანჯარებისა და მშენებლობის დანერგვის მეთოდური კამბეჩის გამგ.



**გ მ ო ბ ე ნ
მ ო ს კ ო ვ ი ს
ო ლ ი მ პ ი ა დ ი ს
ბ ო ი კ ო ტ ი ს მ ე ლ ო ბ ა ს**

**პ არ ი შ ი კ ე ვ ა ნ
ა ლ ი მ ნ ი ს ტ რ ა შ ი ა ს**

როგორც თუბის ამერიკის სააგენტო თუწყება, აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები მკვეთრად აკრიტიკებენ მოსკოვის ოლიმპიადის ჩაშლისკენ მიმართულ ოფიციალური ვაშინგტონის პოზიციას.

მთავრობას თითი არ გაუნძრევია, რათა დაგვხმარებოდა თამაშებისათვის მზადებაში. — განაცხადა მძლეოსანმა მ. ლიკერომ. ცდილობენ გამოვიყენონ ანგარების მიზნით, რომელსაც არაერთხელ საერთო არა აქვს სპორტის იდეალებთან.

„ვვარჯიშობდი 10 წლის მანძილზე და ამ ხნის განმავლობაში მთავრობისგან ერთი ცენტრ არ მიმიღია, — ხაზგასმით აღნიშნა მოკურავე ს. ლუნდკვისტმა. — ახლა კი ვილატეები ცდილობენ თავს მოგვხვეიონ თავიანთი ნებასურვილი“.

მათ შორის, ვინც თამაშების ჩაშლის წინააღმდეგ გამოვიდა, არიან მართლმწიფი უ. როგერსი,

სიმალეზე მბრძოელი ფ. ჯეკობსი, ჟოკით მბრძოლები ე. ბელი, მ. ტალი და სხვ. აშ-ს სააგენტოს ცნობით, ათლებს ეთანხმება სოკის წევრი, აშშ-ის წარმომადგენელი ჯ. რუხველტი, რომელმაც განაცხადა, რომ პროტესტს აცხადებს ახლანდელი ხელისუფლების განზრახვებზე — შინ დარჩეს თეთრ სახლში ანტიოლიმპიური კამპანიის გაჩაღების გამო. (საქდესი)

**მ რ ი ვ ე ლ ე ბ ი
ა ქ ე ჯ ე ვ ა ნ**

აშშ-ის პრეზიდენტ კარტერის თხოვნით, როგორც პირადად მისი წარგზავნილი, მუშაზედ ალი ინდოეთიდან გაემგზავრა და აგრძელებს ტურნეს აფრიკაში. როგორც კენის გაზეთი „დეილი ნეიშნი“ წერს, ცნობილი სპორტსმენის მიერ ტანხანაში გამოთქმულმა აზრებმა „ვაშინგტონის სახელმწიფო დეპარტამენტში გულის ფანცქალი გამოიწვია“. დარეს-სალამში ალიმ გულდიალ აღიარა, რომ ვერ ჩაწვდა იმ ბინძური პო-

ლიტიკური ავანტიურის არსს, რომელიც იგი ჩაითრებს პრეზიდენტმა და თეთრი სახლის ადმინისტრაციამ.


ცხადი გახდა, რომ მთავარმა ჩანაფიქრმა — ეცადათ ცნობილი სპორტსმენის დახმარებით შეეცვალოთ აფრიკელთა დამოკიდებულება მოსკოვის ოლიმპიადისადმი, აშკარა წარუმატებლობა განიცადა. და აი, ალის მრჩევლებმა — აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალურმა თანამშრომელმა ლ. მარტინმა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ აფრიკის საქმეში ლ. უოკერმა დაიწყეს ალის ყოველდღიური „დამუშავება“.

როგორც ნაირობიდან იტყობინებთან, კენის სპორტულ მოღვაწეებთან შეხვედრის წინ ისინი მთელი ღამის განმავლობაში მითითებამ აძლევდნენ ალის, თუ რა ელპარაკა და როგორ მოქცეულიყო.

ამრიგად, მუშაზედ ალი, რომელიც მშვიდობას, მშობასა და ხალხთა შორის სიყვარულს ქადაგებდა, ახლა თეთრი სახლის (რომელიც სპორტს იყენებს თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის) ნებასურვილით ხალხთა შორის დამოკიდებულებას გამწვავების უნებლიე იარაღი ხდება.

მაშინ, როცა ალი პრეზიდენტის თვითმფრინვით კენიდან ნიგერიის დედაქალაქში მიფრინავდა, ლავოსში, ამერიკის საელჩოს წინ 6 თებერვალს გაიმართა სტუდენტთა დემონსტრაცია. მანიფესტანტებს ეჭირათ პლაკატები და ლოზუნგები, გამოდნენ მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტის არაკეთილსაქურველ მისას. (საქდესი).

მ ე ლ ო ს ნ ო ბ ა • ი უ ნ ი ო რ თ ა ჯ ა მ ო რ ი ს პ ი რ ვ ე ლ ო ბ ა •



ს უ რ ა თ ე შ ე ე: ს. ახვლედიანი (მარცხნიდან მეორე) შეჯიბრების შემდეგ. ესაუბრება მეგობრებს. ჯ. კასრახის ფოტო.

დიდი სტარტის წინ

თბილისის „განათლის“ მძლეოსნობის სასახლე იუნორთა ჯამთრის საკავშირო პირველობას სისახლით შეხვდა — ამ ასპარეზობის წინ ბაზას ფორტფინში შეემატა. ეს იმ აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, რომ სპორტში სპორტის ოსტატის ნორმატივი შესრულებულად მხოლოდ ფორტფინში მაჩვენებლით ითვლება. საერთოდ, ბევრი რამ გაკეთდა აქ ქვეყნის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების იუნორთა (1961-62 წლებში დაბადებულნი) პირად-გუნდური პირველობის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. ამას კი არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა: შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების რამდენიმე კანდიდატი ცდიდა ქალას, ამისთან, ასპარეზობის შედეგებით დაკომპლექტებული ქვეყნის ნაკრები აქვე 22 თებერვალს

გღრ-ის თანატოლთა გუნდს მორიგ საერთაშორისო მატჩში უნდა შეხვდეს. კოლექტივები სიძლიერის მიხედვით ორ ჯგუფად დაიყვენ. ყველას კარგად შექონდა შეგნებული ამ ტურნირის მნიშვნელობა და სპორტსმენები იმდენად სარეკორდო მაჩვენებლებსთვის არ იბრძოდნენ, რამდენადაც პირველი ადგილებისთვის. რაც ნაკრებში მოხვედრის გარანტიას იძლეოდა.

საბჭოთა მძლეოსნობის ხელოვნული ღღე იმდენად გამოდგა — 18-მა მონაწილემ სპორტის ოსტატის ნორმატივს გადაამეტა. ხოლო სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი რამდენიმე ათეულმა შეასრულა.

(დასასრული მე-3 გვ)

4 დღის შემდეგ იხსნება ოლიმპიადა ლეიკ-კლესიძეში



საზრუნავს საზრუნავი ემატება

საბჭოთა სპორტსმენების პირველი ჯგუფი უკვე ჩაივსა XIII ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქ ლეიკ-კლესიძეში. დიდიგაციების ხელმძღვანელებს მოსალოდნელია მტკიცედ დახვდეთ მოსაწესრიგებელი — ხშირად მათ უხდებოდა ზრუნვა სპორტსმენების დაბინავებაზე, კვებაზე, წყარონის საციხების მოვლაზე და სხვადასხვა საკითხების მოგვარებაზე. თამაშების ორგანიზატორებს საქმეს ურთულესს თვლის უჩ-

ველო სიმკვირვე ახლა ყველა ტრასაზე ინტენსიურად მოქმედებს ხელოვნური თოვლის მანქანები, მაგრამ ძლიერ ასწრებენ საფარში-შიდ გასულია მოთხოვნების და-კმაყოფილებას. ერთდროითი ბაზა, რომელიც სპორტსმენთა მთლიანი შეფასება დაიხსნება, საციკურა-თა. დღეს სწორედ აქ გაიმართება პირველი საკონტროლო შეჯიბრებები. შესანიშნავია საბჭოთა მოთბი-

ლაშორების, ბიატონისტიკის, პოკისტიკის და ფიგურისტიკის განწყობა. კიდევ რამდენიმე დღე და პირველი ჩემპიონის ვინაობაც ცნობილი გახდება.

ს უ რ ა თ ე: ლეიკ-კლესიძის ცენტრალური ნაწილი. ძირითადად აქაა სპორტული ნაგებობანი. საკლესის ფოტო.

საბჭოთა სპორტსმენები ზამთრის ოლიმპიადებზე

...თხი წელიც მალე მიიღია. მსოფლიოს 35 ქვეყნის 1012 სპორტსმენი 1972 წლის 2 თებერვალს უკვე იაპონიის ქალაქ საპორტოში იყო, რომ მეორე დღეს ნაკინი წლის ყველაზე დიდ ტურნირში ჩაბმულიყო. საბჭოთა სპორტსმენების პირველიც გამოსვლები წარმატებით აღინიშნა — სსრ კავშირის პოკისტიკაში ფინელები დაამარცხეს — 9:3, ხოლო ვ. მურატოვი 500 მეტრზე ციკურებით რბენაში „ბრინჯაო“ მოიგო — 39,8. ამას მოჰყვა ჩვენი სათხილამურო სპორტის წარმომადგენელთა ნამდვილი ტრიუმფი: შეუდარებელი იყო ქალების ტრიო, გან-

კილომეტრზე მან პიარვიცი ჩამოიტოვა. ვედენინი სათხილამურო რბოლების მთავარი გმირი გახდა (ცოტა ადრე მან „ბრინჯაო“ მიიღო 50 კილომეტრზე). მეექვსე „ოქრო“ ბიატონისტიკის წილად მოიხდა. 4X7,5 კმ ესტაფეტაში ა. ტიხონოვი, რ. საფინია, ი. ბიაკოვა და ვ. მამატოვა ყველა მეტრზე საგრძნობლად ჩამოიტოვეს — 1:51.44,92. ამ მომენტისთვის არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში თამაშების ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო სსრ კავშირის ნაკრების სასარგებლოდ, ვინაიდან მათ 7 ოქროს, 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი ჰქონდათ აქტივში.

სამთოელთა ტურნირი დასავლეთ ევროპელებს დიდი უპირატესობით აღინიშნა (შევიცარიელებმა 3 ოქროს მედალი მიიღეს — მ.ტ. ნადიგა — სწრაფადაწვებასა და გუნდურ სლალომში, ე. როუსმა — ვაჟების სწრაფადაწვებაში), ციკურებით რბენაში პოლანდიას მოუტანა წარმატება, ხტომებში კი 2 ოქროს მასპინძლებმა (70 მ ტრამპოლინზე, კასაია) და პოლონელებმა (90-მეტრიან ტრამპოლინზე, ფორტუნა) ერთმანეთში გაიანჭილეს. საბჭოთა თამაშები უკანასკნელი იყო, რომელშიც საქართველოს წარმომადგენელი გამოდიოდა. მაშინ ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელები დიდ იმედებს ამყარებდნენ მსოფლიოს ორჯის ჩემპიონზე გ. ნაპალკოვი და ვეტერან კ. წაქაძეზე, მაგრამ... ნაპალკოვი 70-მეტრიან ტრამპოლინზე მეშვიდე იყო (220,2 ქულა, ნახტომები — 79,5 და 76 მ), წაქაძე — მეცხრე (219,9 — 77,5 მ ორჯერ). 90-მეტრიანზე მხოლოდ ნაპალკოვი მიიღო ჩათვლა — VI ადგილი დაიკავა — 210,1 (99,5 და 92 მ).

რ ე ვ ა ნ უ ი და მერა როგორი!

საკუთრებით მათი ლიდერი გ. კულაკოვა, რომელმაც 5 და 10 კილომეტრზე რბენაში „ოქრო“ მოიგო, მერე კი 3X5 კმ ესტაფეტაშიც ა. ოლიუინასა და ლ. მუხაჩიოვთან ერთად იმარჯვა. ერთ თამაშებში 3 ოქროს მედალი კულაკოვასთვის უდავოდ დიდი წარმატება იყო, მაგრამ საბჭოთა მხოლოდ მას როდი ერგო ასეთი წარმატება. საციკურაო სპორტში ასევე საგზის ჩემპიონი გახდა პოლანდიელი ა. სხენკი. საბჭოთა ჩვენს ქალებს მოთხილამურე ვაჟებიც არ ჩამორჩნენ — ისინიც სამჯერ ავიდნენ გამარჯვებულთა კვარცხლბუკის უმაღლეს საფეხურზე, ოღონდ მათ ამ წარმატებას პროგრამის 7 სახეობის ჯამში მიადწიეს და ამაში ყველაზე მეტი დამსახურება 27 წლის ვ. ვედენინს მიუძღოდა: მან ჯერ 30 კმ რბენა მოიგო — 1:36.31,15, მერე ნამდვილი სასწაული მოახდინა 4X10 კმ ესტაფეტაში. მასზე უფრო დიდი რიგობით შეჩერება ღირს.

მეშვიდე გამარჯვება ნაკრებს ფიგურული სრიალის ოსტატებმა ი. როდინამ და ა. ულანოვმა მოუტანეს (მეორენი იყვნენ ლ. სმირნოვა და ა. სურაიკინი), მაგრამ ჩვენი პოკისტიკის საბოლოო წარმატებაშიც ექვსი ადარავის ეპარებადა, რაც თამაშების ბოლო დღემ დადასტურა კიდევ — სინი წაუუგებლად გახდნენ ჩემპიონები. სამაგიეროდ, ჩვენებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს სამთო-სათხილამურო სპორტში, ციკურათბასა და ტრამპლინიდან ხტომაში.



3. ვედენინი

ამრიგად, საბჭოთა სპორტსმენებმა თავიანთ მეხუთე ოლიმპიურ თამაშებში მეოთხე გამარჯვება იხვიეს. საბჭოთა XI ოლიმპიადის კიდევ ერთი თავისებურება ჰქონდა — მან კვლავ დაადასტურა სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლების უპირატესობა, როცა გდრ-მ (რომლისთვისაც დამოუკიდებელი გუნდით ეს მეორე თამაშები იყო) ბოლო 4 წლის მანძილზე VIII ადგილიდან II ადგილზე აიწია (ამ ქვეყნის სპორტსმენები განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ციკობაში). ზამთრის XI ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე ქვეყნებიდან 10 საუკეთესო ასეთი თანმიმდევრობით განლაგდა:


	ო.	ქ.
სსრ კავშირი	8	120
გდრ	5	83
ნორვეგია	2	79
პოლანდია	4	64
შვეიცარია	4	63
ფფრ	3	60,5
აშშ	3	59
ფინეთი	0	47
შვეიცია	1	36
იტალია	2	31

შენიშვნა: ო. — „ოქრო“, ქ. — ქულა.

სხარე ბრძოლები მსხარე

(დასასრული) ჩოჩიშვილი და ნიჟარაძე, ბევრად გააღარბა შემადგენლობა. მეორე წრეში ტრავმის გამო შეჯიბრებას გამოეთიშა თბილისის ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული ე. ვფრემოვიც და ნათელი გახდა, რომ ძირითადი ბრძოლა კუიბიშვილს ბ. ბიკტაშევსა და მოსკოველ ბორის ბერიძეს შორის უნდა გამართულიყო. თუმცა, ფინალში გასვლის შესაძლებლობა უნგრელ ოფერასა და ნოდარ ნუგზარიშვილსაც ჰქონდათ. მართალია, საბოლოოდ ქართველი ძიუდოსტი პრიზიორებს შორის ვერ მოხვდა, მაგრამ ნინა ტურნირებისგან განსხვავებით, ნოდარმა ახლა უკეთესად იასპარეზა. 3 გამარჯვება, განსაკუთრებით კი ვეროპის 1978 წლის ჩემპიონ პოლანდიელ ადელართან და ბ. კუხევეთან, საკმაოდ შთამბეჭდავი იყო.

ფინალური და ფინალური შეხვედრები წინა ბრძოლები (ნახევარფინალში) და ბერიძე (დაამარცხა ოფერი). მთელი ორთაბრძოლის მანძილზე ბერიძის უპირატესობა საგრძნობი იყო, ბოლო ნუთზე კი მეტოქე შებოჭა კიდევ და წმინდა მოგება და ტურნირის გამარჯვებულის სახელიც მოიპოვა. 95 კგ. ვერიძემა და ლოლაშვილმა ნაავეს ლორენცთან და კავახარასთან. შემდეგ დამამტყვიდებულ ტურნირში წარმატებით იასპარეზა ფრანგმა პარიზიმ და ვეროჩევი უმედლოდ დარჩა. ლოლაშვილმა კი ნუთსა და 19 წამში შებოჭა ბრინჯაოს მეორე მაძიებელი გუროვი. ძალზე საინტერესო იყო ფინალური შეხვედრა. ამ ორთაბრძოლაში მსაჯებმა ერთადერთი ილეთი შეაფასეს — იგი ი. ლორენცმა დაიმსახურა და მრავალ ტიტულს თბილისის XI საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულის ტიტულიც მიუმატა.





ს უ რ ა თ ე ვ ე: ზევიდან — ჭიდაობენ ტ. ბედოშვილი და ა. პარიზი. მ. ბერიძისა და ბ. ბიკტაშევის ორთაბრძოლის მომენტი; გამარჯვებული კვარცხლბუკე.

ბაქიძური შედეგები: მიმე: 1. ბ. ბერიძე (სსრკ), 2. ბ. ბიკტაშევი (სსრკ), 3. ვ. შკალოვი (სსრკ) და ი. ოფერი (უნგრეთი). 95 კგ. 1. დ. ლორენცი (გდრ), 2. ც. კავახარა (იაპონია), 3. პარიზი (საფრანგეთი) და ვ. ლოლაშვილი (საქართველო).

კუხინე

სპორტის სასახლეში გაიკვია პრიზიორთა ვინაობა 78 კგ და 86 კგ წონის კატეგორიებში. 78 კგ: 1. ა. ვოლოსოვი (სსრკ), 2. მ. ალბორიშვილი (საქართველო), 3. ბ. კახანავა (იაპონია) და ა. არუთინიანი (სსრკ). 86 კგ: 1. ა. იაკვიჩი (სსრკ), 2. ტ. ცენდაიუში (მონგოლეთი), 3. მ. ეია (იაპონია) და ვ. გუმანოვი (სსრკ).



მეგობრული შარშები



მხარე ა. კიბროწაშვილი. შ. შანიძის ნახატები.

დიდი სტარტის წინ

დასასრული

განსაკუთრებით გამოყოფთ ვერობის ჩემპიონს თანატოლთა შორის, სპორტის ოსტატს ი. ნიკიტინა, რომელსაც ა. ლეხენდსკი ავარჯიშებს. ამ დღეებში ბოლო წლებში მალალი მაჩვენებლებს მოპოვებდა შედლო. ახლა კი ნიკიტინამ 2 დისტანციაზე სცადა ძალა და ორივეჯერ ფინიშთან პირველი იყო. ეს სწორედ ის ნიკიტინაა, რომელმაც შარშან იუნორთა საკაეშირო პირველობაში მოუგო ლ. წინწალაშვილს (წინწალაშვილი ამ შეჯიბრებაში ვერ გამოვიდა, ვინაიდან შევიცარიაში გაემგზავრა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად).

ვათა შორის ასევე ორმაგი გამარჯვება მოიპოვა 19 წლის გ. კლიმოვიცა („ლოკომოტივი“). მან 60 და 110 მეტრზე თარჯბენში ყველას აჯობა და ორივეჯერ სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ამ თვალსაზრისით უხვმოსავლიანი იყო სიმაღლეზე ხტომა. ვაჟებში უძლიერესმა ვიტებესკელმა გ. მარცინოვიჩმა 218 სმ გადლახა, ხოლო ქალიშვილებში პირველ ადგილზე გასულმა მ. სერკოვამ („სპარტაკი“) 186 სმ დაძლია.

საინტერესო იყო ქალიშვილების შეჯიბრება სიგარძეზე ხტომაში. გამარჯვებისთვის მებრძოლ 29 სპორტსმენს შორის 9 სპორტის ოსტატი გახლდათ. ყველას

აჯობა მოსკოველმა ი. ჩენმა, რომელმაც ფინალში გაასწრო ვოლნისულ - ი. ლუხნოვიჩს. ჩენმა საბოლოოდ 637 სმ აჩვენა. ლუხნოვიჩი მას 6 სმ-ით ჩამორჩა.

კიდევ ერთ სახეობაზე შეიძლება შევიხრდეთ. ესაა ქოკით მსტომელთა ასპარეზობა, რომელიც ორდღიანი ტურნირის დასაჯენით აკორდად გადაიქცა. ამ სახეობაში სპორტის ოსტატობა იმ ათლეტებს ენიჭება, რომლებიც 5 მეტრს დაძლევენ, მაგრამ ა. ზვონარიევს („შრომითი რეზერვები“), ა. ბუგატრიოვს („ბურვესტნიკი“), გ. ტაჩენკოს („დინამო“)... 5 მეტრზე არ ყვოდა. ტაჩენკომ საბოლოოდ 540 სმ სიმაღლე დაიმორჩილა და შემდეგ 546 სმ-ს შეუტია, მაგრამ ამჯერად ხელი მოეცარა. ასპარეზობის შემდეგ გამარჯვებით კმაყოფილმა ტაჩენკომ გვითხრა, რომ ორიოდ კვირის მერე აუცილებლად უფრო მაღლა „ფრენას“ მოახერხებს გერმანელ თანატოლებთან მატჩში.

სამხტომში შეჯიბრებამ მსყურებელთა განსაკუთრებული ინტერესს გამოიწვია. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ გამარჯვებისთვის თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა რეკორდსმენი ს. ახვლედიანი იბრძოდა. იგი შეიარაღებული ძალების ინტერესებს იცავდა და კარგადაც გამოვიდა — II ადგილი მოიპოვა. მას მხოლოდ წლით უფროსმა ი.

უსოვამა („შრომითი რეზერვები“) აჯობა. რაც შეეხება გუნდურ შეჯიბრებას, პირველ ჯგუფში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: „ბურვესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრები — 497 ქულა, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს გუნდი — 489 და „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს კოლექტივი — 494.

მეორე ჯგუფში სამივე საპრიზო ადგილი რსფსრ-ს სპორტსაზოგადოებების სპორტსმენებს ერგოთ. „ბურვესტნიკმა“ 205 ქულას მოუყარა თავი, „დინამომ“ — 172-ს, ხოლო „შრომითმა რეზერვებმა“ 153 ქულა აჩვენა.

ი. ვალაზილი.

ბაქანაური შედეგები.




ბოგონაში რბენა. 60 მ.
 ე. მალახოვა („სპარტაკი“) — 7,53, გ. მიხევეა — 7,58, თ. კოლგანოვა (ორივე „ლოკომოტივი“) — 7,63; **200 მ.** ტ. კრიკიანოვსკაია („დინამო“) — 24,8, გ. მიხევეა — 25,0, თ. კოლგანოვა — 25,1; **400 მ.** ლ. ტუზნიკოვა („შრომითი რეზერვები“) — 55,9, ნ. დემიდოვა — 56,6, ე. ანტონოვა (ორივე „ბურვესტნიკი“) — 56,7; **800 მ.** ი. ნიკიტინა — 2,06,7, ლ. პარიშენკოვა (ორივე „შეიარაღებული ძალები“) — 2,07,4, ს. ანდრეევა („ბურვესტნიკი“) — 2,10,3; **1500 მ.** ი. ნიკიტინა — 4,28,0, თ. კუპრიანოვა („დინამო“) — 4,32,4, ლ. ფროლოვა („მენატი“) — 4,33,8.

თარჯბენი. 60 მ. ნ. სერგეევა („დინამო“) — 8,63, ე. ბოსერევა („ლოკომოტივი“) — 8,65, ე. ნიკოლევა („შენიტი“) — 8,66; **100 მ.** მ. სუხარევა („სპარტაკი“) — 14,08, ნ. სერგეევა — 14,09, ე. მოსერევა — 14,25. **სიმაღლეზე ხტომა.** მ. სერგოვა („სპარტაკი“) — 186, ლ. ზინალუტინა („ბურვესტნიკი“) — 180, თ. კულდრაიცივა („დინამო“) — 180. **სიგარძეზე ხტომა.** ი. ჩენი („ტრული“) — 637, ი. ლუხნოვიჩი („დინამო“) — 631, გ. ჩისტიაკოვა („ვოდნიკი“) — 613. **ბირთვის კვრა.** ე. კოზლოვა („ავანგარდი“) — 15,96, ნ. ფრანცევა („ბურვესტნიკი“) — 15,72, ლ. ლინარე („დაუბავა“) 15,63.

იუნორთა რბენა. 60 მ.
 ე. ბოიკო („ბურვესტნიკი“) — 6,82, ა. ევგენიევი — 6,92, ნ. იუშინოვი (ორივე „დინამო“) — 6,92; **200 მ.** ვ. შერშენი („ლოკომოტივი“) — 21,9, ა. საფაროვი („ბურვესტნიკი“) — 22,7, ი. რიაშო („შენიტი“) — 22,7; **400 მ.** ვ. შერშენი — 48,4, ა. საფაროვი — 48,8, ს. კუცებო („ბურვესტნიკი“) — 50,2; **800 მ.** ა. სობი („კალევი“) — 1,52,5, ა. დავიდოვი („შენიტი“) — 1,54,4, ს. ლიუტენკო („ბურვესტნიკი“) — 1,54,5; **1500 მ.** ა. ევგენი (ფს) — 3,55,6, ს. ბორინსკი — 3,56,0, ნ. მოტენკოვი (ორივე „ბურვესტნიკი“) — 3,56,6; **3000 მ.** ს. კისელიოვი — 8,22,4, ვ. გრიაზნოვი (ორივე „ბურვესტნიკი“) — 8,23,5, ს. სერბინენკო („ლოკომოტივი“) — 8,25,6; **2000 მ წინააღმდეგობით.** ე. გრიაზნოვი — 5,36,0, ს. მოგილიკო („ავანგარდი“) — 5,42,8, ს. ბალდას-

რინი (შეიარაღებული ძალები) — 5,44,1. **თარჯბენი. 60 მ.** ე. კლიმოვი („ლოკომოტივი“) — 8,01, ს. პოტუჟნიკი („შენიტი რეზერვები“) — 8,16, გ. ბარბაშინი (შეიარაღებული ძალები) — 8,19; **110 მ.** ე. კლიმოვი — 14,1, ვ. ბარბაშინი — 14,3, ზ. ზაიცივი („დინამო“) — 14,4; **10 მ სპორტული სიარული.** ა. პერლოვი („ვოდნიკი“) — 41,32,6, ა. პოტუჟნიკი („შენიტი“) — 41,58,2, ა. ეიფანოვი („ტრული“) — 42,30,8. **სიგარძეზე ხტომა.** გ. კაპტელიოვი („ბურვესტნიკი“) — 736, ი. უსოვი („შრომითი რეზერვები“) — 733, ვ. პოტაპენკო — 727. **სიმაღლეზე ხტომა.** გ. მარცინოვიჩი („კრასნოე ზნამია“) — 218, თ. აზიზმურადოვი („ბურვესტნიკი“) — 215, ვ. ირგარდტი (შეიარაღებული ძალები) — 215. **სამხტომი.** ი. უსოვი („შრომითი რეზერვები“) — 15,89, ს. ახვლედიანი (შეიარაღებული ძალები) — 15,67, ე. ურბანასი („სულგორისი“) — 15,43. **ქოკით ხტომა.** ვ. ტაჩენკო („დინამო“) — 540, პ. ბოგატრიოვი („ლოკომოტივი“) — 530, ა. ზვონარიოვი („შრომითი რეზერვები“) — 510. **ბირთვის კვრა.** ს. კასკაუსკასი („შრომითი რეზერვები“) — 17,99, ლ. კანტიუხი („ავანგარდი“) — 17,45, ვ. სტენინი („შრომითი რეზერვები“) — 16,48.

* * *
 ს უ რ ა თ ე ზ ე : მარცხნიდან — 800 მეტრზე რბენის დისტანციაზე; სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვებული მ. სერგოვა; სიგარძეზე ხტომა გ. კაპტელიოვი; ვ. ტაჩენკო მხოლოდ დაამთავრა. ჯ. კასრაძის ფოტოები.



კალათბურთი

დაიწყო ვერობული საკლუბო ტურნირები კალათბურთში. ჩემპიონთა თასზე უკვე ნათამაშვია სამი ტური. განვლილი მატჩების მიხედვით აშკარაა, რომ ბრძოლა ფინალში გასვლისთვის უშედეგაო იქნება.

პირველ შეხვედრებში ყურადღების ცენტრში იყო რ. კორანის თასის მფლობელ „პარტიზანსა“ და ჩემპიონთა თასის ახლანდელ მფლობელ „ბოსნას“ მატჩი, რომელიც ტრადიციულად დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა. ორივე გუნდს აკლდა წამყვანი კალათბურთელები. „პარტიზანს“ — კიჩანავიჩი, ხოლო „ბოსნას“ — გუნდის კაპიტანი გარაიჩი. „პარტიზანის“ რიგებში ზუსტის ტურცინებით გამოირჩეოდნენ მარჩი (27 ქულა) და დალიპაიჩი (25 ქულა). ბრწყინვალე ითამაშა „ბოსნას“ წამყვანი კალათბურთელმა დელიბაშიჩმა — გუნდის 52 ქულა შესძინა. მცირე უპირატესობით გამარჯვება — 96:93 (48:45) „პარტიზანს“ დარჩა.

საკუთარმა კედლებმა ვერ უშველეს იტალიის ჩემპიონს „სინულინეს“, რომელიც ვერობის ჩემპიონთა თასის მრავალჯერ მფლობელ მარჩილის „რეალს“ მხედვებდა. პირველი ნახევარი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 50:48. მეორე ტაიმში ესპანელები გააქტიურდნენ. მათ ბრაბენდერისა და შეჩერბაიჩის ზუსტი ტურცინების შედეგად ვერ გაათავებინეს ანგარიში, შემდეგ კი დაწინაურდნენ. საბოლოოდ ანგარიშით 94:85 გამარჯვა „რეალმა“.

ტელ-ავივიში „მაკაბიმ“ უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში მინიმალური უპირატესობით — 87:86 (34:37) დაამარცხა პოლანდის „დენბოში“.

მეორე ტურის ცენტრალური შეხვედრა იყო მატჩი მადრიდში ადგილობრივ „რეალსა“ და „პარტიზანს“ შორის. ინტერესს ისიც განაპირობებდა, რომ პირველ ტურში ორივე გუნდმა გამარჯვება მოიპოვა. მატჩმა მოლოდინი ვერ გამართლა, „რეალის“ უპირატესობა აშკარა იყო — 110:83. შედეგით გამოირჩეოდნენ შეჩერბაიჩი (30 ქულა), ბრაბენდერი (23), იუგოსლავიელითაგან — დალიპაიჩი (32).

თასების გაპიჯელნი გზას გაუღებენ

ევროპული ტურნირები

არანაკლებ ინტერესით ელოდნენ სარაევოში „ბოსნასა“ და „მაკაბის“ შეხვედრას. მასპინძელთა რიგებს დაუბრუნდა ვარაიჩი. მისი „თამაშიში ჩართვა“ დროული გამოდგა. პირველი ნახევარი მასპინძლებმა უფერულად ჩაატარეს — სილვერმა შეძლო დელიბაშიჩის უგებელყოფა. მეორე ნახევრის მე-4 წუთზე ანგარიში გათანაბრდა — 40:40, მე-10 წუთზე კვლავ ფრეა — 50:50. ვარაიჩის (27 ქულა) და ბენასეის (16) ზუსტი ტურცინების წყალობით წინ მასპინძლები გადიან — 63:54. მახვილგონივრულად თამაშობენ რადოვანოვიჩი, დელიბაშიჩი და ჰადეიჩი. „ბოსნამ“ გაიმარჯვა ანგარიშით 84:79.

მესამე ტურში საყოველთაო ინტერესი გამოიწვია სარაევოს „ბოსნასა“ და მადრიდის „რეალის“ მატჩმა. ორივე გუნდი გულმოდგინედ ემზადებოდა ამ პრინციპული შეხვედრისთვის. თამა-

შედეგად ითქვას, რომ მატჩმა კალათბურთის თავყანსმცემლების იმედები გაამართლა. მოედანზე გაჩაღდა საინტერესო და დაძაბული ბრძოლა. თამაშის შემდეგ ტანეიჩიმა თქვა, რომ „ეს იყო სუპერფინალის დონის მატჩი“ (სავარაუდოა, რომ „ბოსნას“ და „რეალს“ კვლავ შეხვედრებიან ერთმანეთს სუპერფინალში). „ბოსნამ“ ძნელი, მაგრამ საპატიო გამარჯვება მოიპოვა — 98:96. ყველაზე შედეგიანი გამარჯვებუ-

ლია შორის იყო ვარაიჩი — 91 ქულა, დამარცხებულთაგან როლანი (28). დელიბაშიჩმა გუნდს 20 ქულა შესძინა, ბრაბენდერმა — 17.

პოლანდის „დენბოში“ პირდაპირ გაანადგურა „პარტიზანი“ — 91:65. ამ მარცხს „სპორტსკიე ნოვოსტატი“ „პარტიზანის კატასტროფა“ უწოდა.

იტალიელი მიმომხილველები კი „სინულინეს“ კატასტროფაზე „ლაპარაკობენ. ტელ-ავივიში მატჩს ორივე გუნდისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. „მაკაბის“ უპირატესობა აშკარა იყო 100:73 (53:38). იუგოსლავიის და იტალიის გაზეთები აღნიშნავენ ბერკოვიცისა (40 ქულა) და პერუს (24) კარგ თამაშს. მატჩის ბედი სწორედ ამ ტანდემმა გადაწყვიტა.

„რეალი“ და „მაკაბი“. „სინულინეს“, „პარტიზანსა“ და „დენბოში“ თითო ქულა აქვთ. თასების მფლობელთა თასზე მხოლოდ ერთი ტურია ნათამაშვები.

„ემერსონმა“ მოუგო „ზადარს“ — 120:92 (65:40). საკმაოდ საინტერესო მატჩის მომსწრენი გახდნენ ათენში, სადაც „პანათინაიკოსმა“ მიიღო თასის ახლანდელი მფლობელი „გაბეტი“. შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა — 93:93. დამატებით დროში გამარჯვება უფრო გამოცდილ იტალიელებს დარჩათ — 106:103.

ესპანეთის „ბარსელონამ“ სტამბოლში ანგარიშით 89:84 (45:50) დაამარცხა „ექსტრემიზმი“, ხოლო პოლანდის „პარკრმა“ საკუთარ მედანზე ლეიდენში სძლია გამოცდილ „კენს“ — 106:77 (55:36).

ერთი ტურია ნათამაშვები რ. კორანის თასის გათამაშებაშიც. ზაგრებში „ჩიბონამ“ ანგარიშით 122:99 (63:54) დაამარცხა ესპანეთის საკლუბო გუნდი „კოტონიფისიო“, იტალიის „ორტეზმა“ — მტვ — 89:81 (45:39). ბადალონაში ადგილობრივმა „ჰუვენტედმა“ დიდი ანგარიშით 104:65 (48:24) სძლია „ტოფასს“, კორანის თასის შარშანდელმა ფინალისტმა „არაგონამ“ საკუთარ მედანზე ანგარიშით 83:72 (40:36) მოუგო „ოლიმპიკოსს“. სენაში „ანტონიმ“ დაამარცხა ასპ — 98:85 (48:45). იუგოსლავიის „მორაციმ“ მოუგო ტელ-ავივის „ჰაპოელს“ — 94:92 (54:48). „იუგოპალსტიკამ“, რომელსაც მიმომხილველები ტურნირის ფავორიტად მიიჩნევენ, სტუმრად სძლია „სუპერუჯას“ — 81:78 (40:38).

სამი ტურის შემდეგ ორ-ორი ქულით ლიდერობენ „ბოსნა“,

იუგოსლავიელთა სამზადისი

იუგოსლავიის გაზეთმა „სპორტსკიე ნოვოსტატი“ გამოაქვეყნა სპორტული ჟურნალისტის ზ. პეტროვიჩის სტატია, რომელიც მოგვითხრობს მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისათვის იუგოსლავიის ნაკრების მზადების გეგმებზე.

ამ დღეებში იუგოსლავიის კალათბურთის საბჭომ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ნიკოლიჩი, ევრაგივი, პავლოვიჩი, სტანჩიჩი, ვასოვიჩი და კონგი, განიხილა და დაამტკიცა XXII ოლიმპიური თამაშებისათვის კალათბურთელთა მომზადების გეგმა.

მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისათვის სპეციალურ მზადებას გუნდი დაიწყებს აპრილის შუა რიცხვებიდან (ამჟამად იუგოსლაველები საშინაო საქმეებით არიან დაკავებული, მიმდინარეობს ქვეყნის ჩემპიონატი). შეკრება 52 დღეს გასტანს. 17 და 18 აპრილს ნაკრების წევრები გაივლიან სადღეღობო შემოწმებას. 19 აპრილიდან 18 მაისამდე დაგეგმილია საერთო ფიზიკური მომზადება, 18 მაისიდან 24 მაისამდე — ტექნიკური მომზადება. უშუალოდ ოლიმპიადის წინ განზრახულია ორი დღის შეკრება — 28 მაისი-29 და 15 ივნისამდე და 18 ივნისიდან 16 ივლისამდე.

ოლიმპიადისთვის იუგოსლავიელების გულმოდგინე სამზადისი ადვილი გასაგებია — შარშანდელი სეზონი ხომ მათთვის მარცხიანი გამოდგა. ბუნებრივია, ისინი მოსკოვში რევანშის აღებას შეეცდებიან.

მ. კალანდანი.

